

ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩის 1 შესახვევი N15 საცხოვრებელი სახლის
N48 ბინაზე, მოქალაქე შამილი გოლეთიანისათვის საკუთრების უფლების
მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ჯავახიშვილის ქუჩის 1 შესახვევი N15 საცხოვრებელი სახლის N48 ბინაში მცხოვრები მოქალაქე შამილი გოლეთიანის განცხადება /2013 წ. 17.05 Nგ-5671/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქ. 1 შესახვევი N15 საცხოვრებელი სახლის N48 ბინა/ საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ.ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩის 1 შესახვევი N15 საცხოვრებელი სახლის N48 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე შამილი გოლეთიანს.

2. ქ.ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/ ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩის 1 შესახვევი N15 საცხოვრებელი სახლის N48 ბინაზე /საერთო ფართობი 52.77 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 26.40 კვ.მ. დამხმარე ფართობი 26.37 კვ.მ./ მოქალაქე შამილი გოლეთიანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

თ.თოფურიძე